



მცირე სასაწყობე შენობის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის  
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

*ქალაქი ბათუმი*  
*2014 წელი*

## ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია .....	3
2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი .... ..	5
3. დანართი N1 – პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი რეკვიზიტების ჩამონათვალი .....	11
4. დანართი N2 - საგარანტიო ვადების შესახებ ინფორმაციის ფორმა .....	12
6. დანართი N3 – აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა.....	13

## ტექნიკური დოკუმენტაცია

### 1. შესყიდვის ობიექტი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიაზე მცირე სასაწყობე შენობის მშენებლობის სამუშაოები.

### 2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. პრეტენდენტებმა (როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიულმა პირმა) უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტი:

- ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ, რომლითაც უნდა დასტურდებოდეს, რომ პრეტენდენტს ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ გააჩნია (დავალიანებად არ ჩაითვლება დავალიანების თანხა არაუმეტეს 100 ლარის ფარგლებში);

2.2. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის თარიღი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ზემოაღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში - საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამავე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა;

2.3. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ტექნიკური დოკუმენტაციის 2.1. პუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის თანხლებით.

2.4. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხდება სისტემის მეშვეობით. ამ შემთხვევაში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

3. როგორც იურიდიული პირის, ასევე ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

ა) რეკვიზიტები, დანართი N1-ის მიხედვით;

ბ) შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა - ფასების ცხრილი (მიმაგრებული ფაილის შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა);

გ) ინფორმაცია საგარანტიო ვადების შესახებ – დანართი N2 შესაბამისად;

დ) ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ 2012 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 01 ნოემბრამდე განხორციელებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მიწოდების გამოცდილების შესახებ. პრეტენდენტს 2012 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 01 ნოემბრამდე პერიოდში უნდა გააჩნდეს ანალოგიური (შენობა/ნაგებობის მშენებლობა/რეკონსტრუქცია, რეაბილიტაციის ან/და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები) მიწოდების გამოცდილება საერთო ღირებულებით მინიმუმ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი და მის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა)

4. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, აღწერილობა და ჩამონათვალი, იხილეთ მიმაგრებულ მასალაში (შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა). ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია მხოლოდ მასალების დასახელებები და არა კონკრეტული სასაქონლო ნიშანი და ა.შ. ასეთის არსებობის შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ გამოყენებული უნდა იქნას არანაკლები ან მსგავსი მასალა.

5. ანგარიშსწორების პირობები:

5.1. ანგარიშსწორება (როგორც საბოლოო, ისე შუალედური) მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

5.2. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების დასრულება არ მოესწრო 2014 წლის 20 დეკემბრამდე, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია ამ ვადის გასვლამდე წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში ამ დროისათვის ათვისებულ თანხაზე, რის შემდეგაც აღნიშნული თანხა ჩაერიცხება ავანსად. გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 2015 წლის 1 მარტამდე. ავანსად გაცემული თანხა გამოიქვითება მოწოდებული მომსახურების შესაბამისად.

5.3. ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში;

6. გამომდინარე იქედან, რომ სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას დღგ-ს გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი არ იქნება დღგ-ს გადამხდელი, ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხა შემცირდება დღგ-ს თანხის ოდენობით.

7. მიწოდების ვადები და ადგილი:

7.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

7.2. მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, გუდიაშვილის ქ. N4.

8. შესყიდვის ობიექტის საერთო და ერთეულის ფასი უნდა მოიცავდეს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ პრეტენდენტის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

9. ტექნიკური დოკუმენტაციის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

10. შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა პირობები განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტით.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან თამილა დუმბაძე, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი; ტ. 0422 24-78-64, 577-30-40-10. მისამართი: ქ.ბათუმი გუდიაშვილის ქ. N4, III სართული, კაბინეტი N5.

**ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა**  
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N**

ქალაქი ბათუმი

2014 წელი

ერთი მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ----- სახით და მეორე მხრივ „-----“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ----- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის (დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება NSPA....) შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში- „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაცია, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4. „მიმწოდებელი“- პირი რომელიც ახორციელებს სამუშაოს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5. „დღე“. „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
- 1.6. „სამუშაო“- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
- 1.7. „შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა“ – მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი „შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა“ რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;
- 1.8. ინფორმაცია საგარანტიო ვადების შესახებ – სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მინიმალური საგარანტიო ვადების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ შევსებული საგარანტიო ვადა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიაზე მცირე სასაწყობე შენობის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა. (CPV: 45213220)

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

- 3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს -----.
- 3.2. ხელშეკრულების ღირებულება შესაძლებელია დაზუსტდეს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების შესაბამისად.
- 3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გადასახდელებს.

3.4. გამომდინარე იქედან, რომ სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას დღგ-ს გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი არ იქნება დღგ-ს გადამხდელი, ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხა შემცირდება დღგ-ს თანხის ოდენობით.

#### 4. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს:

ა) ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით მიღების და მიმწოდებლის მიერ მიღებული სამუშაოების ღირებულების შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 დღის განმავლობაში;

ბ) არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების ოდენობით თანხის წინასწარი გადახდით, მიმწოდებლის მიერ ამავე თანხაზე ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.

4.3. საავანსო ანგარიშსწორების შემთხვევაში, ავანსად გაცემული თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას. ამასთან, შესაძლებელია შემსყიდველის მიერ სამუშაოების ნაწილის შესრულებისა და მისი მოთხოვნის შემთხვევაში (იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტია არ მცირდება შესრულებული სამუშაოების ღირებულების პროპორციულად), წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესით გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, გადახდილი იქნას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება, არანაკლებ ავანსად გადახდილი თანხის ნაწილის (შესრულებული სამუშაოების ღირებულების არანაკლებ 30 (ოცდაათი) პროცენტის გამოქვითვით).

4.4. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების დასრულება არ მოესწრო 2014 წლის 20 დეკემბრამდე, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია 2014 წლის 20 დეკემბრამდე წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში ამ დროისათვის აუთვისებელ თანხაზე, რის შემდეგაც აღნიშნული თანხა ჩაერიცხება ავანსად. ავანსად გაცემული თანხა გამოიქვითება მოწოდებული მომსახურების შესაბამისად.

#### 5. შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ წარმოებული სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი/პირები.

5.2 ხელშეკრულების საგნის მიღება ფორმდება (როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი) შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შესრულებული სამუშაოების (როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ) მიღება-ჩაბარების აქტის შედგენამდე, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების მოცულობების აქტის (ფორმა N2) წარმოდგენა, რომლითაც დასტურდება შესრულებული სამუშაოების ხარისხი, მოცულობა, ღირებულება და მათი შესაბამისობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან. საბოლოო ინფორმაციის წარმოდგენისას უაკანასკნელი მიღება-ჩაბარების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემდეგ შესრულებულ სამუშაოებზე ცალკე მიღება-ჩაბარება არ დგება.

5.4. ხელშეკრულების საგნის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს მიღება-ჩაბარება და საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არანაკლებ 20%-ის ოდენობით.

5.5. თუ ტექნიკურმა ზედამხედველობის განმახორციელებელმა პირმა შესრულებული სამუშაოები შეაფასა წუნით, მაშინ სამუშაოები არ ჩაითვლება დასრულებულად წუნდების აღმოფხვრამდე და შესაბამისად არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა. წუნდების აღმოფხვრა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

5.6. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ტექნიკური მუშაკი რამაზ დიასამიძე.

## **6. სამუშაოების შესრულების ადგილი და ვადა**

6.1. სამუშაოების შესრულების ადგილია ბათუმი, გუდიაშვილის ქ. N4.

6.2. სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე.

## **7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად;

7.2.2. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების მიღება ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7.4.2. შეასრულოს ხელშეკრულების პირობები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში;

7.4.3. გაითვალისწინოს ტექნიკური ზედამხედველის მიერ მითითებული ინსტრუქციები და შენიშვნები.

7.4.4. საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი, ასევე სამუშაოების წარმოების დროს არსებულ შენობაზე მიყენებული დაზიანებები.

## **8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი**

8.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული პირი.

8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს.

8.3. გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის**

9.1. მიმწოდებელს 6.2. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო მიმწოდებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.4. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება 5.5. პუნქტებით გათვალისწინებული ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადა და შემსყიდველის მიერ გახარჯული სამუშაოების მიღების ვადა.

9.5. მიმწოდებელი ვალდებულია დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე და წარუდგინოს შემსყიდველს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

9.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## **10. საავანსოდ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია**

10.1. საავანსოდ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიები.

10.2. ავანსის გადახდა შესაძლებელია მხოლოდ მიმწოდებლის მიერ ავანსად გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.

10.3. ავანსად გადასახდელი თანხის უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 2015 წლის 1 მარტამდე.

## **11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

11.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2015 წლის 1 მარტამდე.

11.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც.

11.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.5. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

11.7. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## **12. ფორს-მაჟორი**

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## **13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**



მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს პროექტი, რომელიც სრული სახით მიმწოდებელს გადაეცემა ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ.

14.2. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით ასეთი სამუშაოებისათვის დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების სრული დაცვით.

14.3. შემსყიდველი უფლებამოსილია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით მიმწოდებელთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილებები პროექტში (ხარჯთაღრიცხვაში) ჩამოთვლილ სამუშაოთა აღწერილობაში. ამ შემთხვევაში, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შედგება დამატებითი სამუშაოების წარმოების ვადა, განიხილება ამ სამუშაოების საფასური და მხარეთა შორის გაფორმდება დამატებითი შეთანხმება.

14.4. შემსყიდველი იტოვებს უფლებას გაზარდოს ან შეამციროს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა. ასეთი ცვლილებების თაობაზე მხარეები შეთანხმდებიან დამატებით.

14.5. მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში სკოლის სარგებლობაში არსებული დენის წყაროდან მის მიერ მოხმარებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტრო-ენერჯის ღირებულება.

14.6. სახელშეკრულებო ობიექტზე მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, მექანიზმების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.

14.7. ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი ჟურნალში აღნიშნავს თავის შენიშვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

14.8. ჟურნალში ჩაიწერება დეფექტების შესწორების, დავალებების და გაფრთხილებების ვადები და ინფორმაცია მათი აღმოფხვრის შესახებ.

**14.9. მიმწოდებელი ვალდებულია დადგენილი წესით აწარმოოს ფარული სამუშაოების აქტები და წარუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციასთან ერთად.**

14.10. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულდება მიმწოდებლის მასალით, რომელიც იქნება მაღალი ხარისხის და დააკმაყოფილებს თანამედროვე ტექნოლოგიების მოთხოვნებს.

14.11. საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის მიერ მიცემულ ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს გამოვლენილი ხარვეზი ან სრული მოცულობით აანაზღაუროს როგორც შესაბამისი ხარჯები, ასევე ხარვეზის შედეგად შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანი.

14.12. მიმწოდებლის მიერ 14.11. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ხარვეზის აღმოფხვრისათვის შესაბამისი ზომები და შემდგომ მიმწოდებელს მოთხოვოს ხარვეზის აღმოფხვრისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

14.13. შემსყიდველი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან. სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

14.14. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.15. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.16. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.17. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა და ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

### 15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი რეკვიზიტების ჩამონათვალი

სამართლებრივი ფორმა:

საფირმო სახელწოდება:

იურიდიული მისამართი:

ფაქტობრივი მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

მომსახურე ბანკის მფო:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი  
(სახელი და გვარი)

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის  
მობილური ტელეფონის ნომერი:

**საგარანტიო ვადების შესახებ ინფორმაციის ფორმა**

ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში მიმწოდებელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიაზე მცირე სასაწყობე შენობის მშენებლობის ფარგლებში შესრულებელი სამუშაოს ხარისხზე იძლევა გარანტიას:

----- (არანაკლებ 3 წელი).

შენიშვნა: საგარანტიო ვადის ათვლა იწყება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

ხელმოწერა \_\_\_\_\_

ბ.ა

**აფიდავიტი**

**სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე**

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად, ასევე ვადასტურებ, რომ:

\* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

\* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვანერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

\* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

\* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

\* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მინოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

\* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

---

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.